პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი | № 116 (10813) | შაბათი, 18 მაისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

მშრომელთა უფართოესი მასების მზარდი შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს პრესაში მკითხველთა წერილების ნაკადის განუწყვეტელი ზრდა. უკანასკნელ ხანებში ჩვენი რესპუბლიკის ჟურნალებსა და გაზეთებში მკითხველთა წერილების ზრდაზე განსაკუთრებული ცხოველმყოფელი გავლენა იქონია თებერვალში ჩატარებულმა მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რესპუბლიკურმა ყრილობამ, ამ ყრილობის მონაწილეთა მიმართვამ საქართველოს სსრ ყველა მუშა და სოფლის კორესპონდენტისადმი.

ჩვენი რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთები, მათ შორის გაზეთი „კომუნისტიც“, ყოველდღიურად მშრომელთა, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მრავალ საგულისხმო წერილსა და შენიშვნას იღებენ. ამ წერილებში ასახულია საბჭოთა ადამიანების მხურვალე დაინტერესება პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებითი შესრულებით. კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანები დიდი და გაბედული აზრების, მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობების მატარებელი ადამიანები არიან. ისინი სისხლხორცეულად დაინტერესებული არიან იმით, რომ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე ჩვენი მუშაობა სანმუშოდ მიმდინარეობდეს. ამიტომ არის, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ ცხოვრებისა და წარმოების საკითხების გადაჭრაში, შეურიგებლობას იჩენენ სულ მცირე ნაკლოვანებებისადმიც კი, შემოაქვთ ძვირფასი წინადადებები, იძლევიან საქმიან, საგულისხმო რჩევას. საბჭოთა ადამიანი თავისი ცხოვრებისა და თავისი სახელმწიფოს ბატონ-პატრონია. ამიტომ მას ჩვენი ცხოვრების უკლებლივ ყველა მხარე აინტერესებს, მას სურს, რომ მშობლიური საბჭოთა სახელმწიფო სულ უფრო ძლიერდებოდეს, რომ შრომის მოწინავე მეთოდები სწრაფად ვრცელდებოდეს, რომ ყოველივე ახალი, პროგრესული ჩვენს მუშაობასა და ცხოვრებაში ყოველთვის და ყოველმხრივ მხარდაჭერას პოულობდეს. იგი იღვწის იმისათვის, რომ ყველაფერში და ყოველთვის სრული წესრიგი იყოს — წარმატებით სრულდებოდეს წარმოების, მშენებლობის, კეთილმოწყობის გეგმები, სრულად ამაყოფილებოდეს მშრომელთა მზარდი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებები.

ჩვენი გაზეთის სარედაქციო ფოსტაში უკანასკნელ ხანებში ძირითადი ადგილი ეკავა მშრომელთა წერილებს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალ ორგანიზაციულ ფორმებზე გადასვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მუშები, სპეციალისტები და მოსამსახურეები, კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები, დიდი ინტერესით სწავლობდნენ რა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს, რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილებში იძლეოდნენ მრავალ საქმიან რჩევას, შემოჰქონდათ საგულისხმო წინადადებანი იმაზე, თუ როგორ განხორციელდეს ღონისძიებანი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის დარგში. ამ დღეებში სარედაქციო ფოსტა მოგვითხრობს იმ დიდ საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობაზე, რაც გამოიწვია რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიერ მიღებულმა კანონმა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

მშრომელები, მუშა და სოფლის კორესპონდენტები ამავე დროს თავიანთ წერილებში გვიამბობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ქალაქად და სოფლად გაჩაღებულ ხალხოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაზე, ამ შეჯიბრებაში დაწინაურებულთა გამოცდილებაზე, გამოუყენებელ რეზერვებზე. მათი ბასრი კალამი ამხილებს წარსულის გადმონაშთებს, ებრძვის ბიუროკრატიზმს, მუშაობაში თავმინებებულობას, მშრომელთა კანონიერი მოთხოვნილებებისადმი და ინტერესებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას.

ბევრი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელი სწრაფად, საქმიანად ეხმაურება პრესის სიგნალებს, იღებს კონკრეტულ ღონისძიებებს მათ გარშემო. ვინ მოთვლის რამდენი ნაკლი იქნა აღმოფხვრილი მშრომელთა მიერ პრესაში გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების მიხედვით, რამდენი ახალი, პროგრესული ხერხი და მეთოდი დაინერგა მუშაობაში, რამდენი ფასეულობა, სახსრები და მასალები იქნა სახელმწიფოსათვის დაზოგილი!

მაგრამ, სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც ცალკეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები დიდი დაგვიანებით ეხმაურებიან რედაქციიდან შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გაგზავნილ წერილებს. გასული წლის 27 დეკემბერს პარტიის კაჩრეთის რაიონულ კომიტეტს გადაეგზავნა რედაქციაში შემოსული წერილი კაჩრეთის საბავშვო ბიბლიოთეკის უხეირო მუშაობის შესახებ. რაიონულ კომიტეტს სამი თვე დასჭირდა, რომ რედაქციისათვის ეცნობებინა: „წერილი შემოწმებულ იქნა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გატარებულ იქნა საჭირო ღონისძიებანი“. გარდა იმისა, რომ პასუხი დიდი დაგვიანებით გამოგზავნა, რაიკომმა ისიც კი არ ჩათვალა საჭიროდ, რომ შეეტყობინებინა, თუ კონკრეტულად რა ზომები მიიღო მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს. გასული წლის 24 აგვისტოს სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისათვის შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გაგზავნილ წერილში მხილებული იყო დამახინჯებანი და დანაშაულებანი სოფელ ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში. როგორც იქნა, 1 დეკემბერს, ისიც რედაქციის შეხსენების შემდეგ, რაიაღმასკომიდან გვაცნობეს, რომ შემოწმების შედეგად წერილში აღნიშნული დანაშაულებრივი მოქმედების ფაქტები სინამდვილეს შეეფერება, შემოწმების შედეგები უახლოეს ხანში განხილულ იქნება კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე, რის შესახებ პასუხი დამატებით გეცნობებათო. მას შემდეგ ხუთ თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ მიუხედავად ხელახალი შეხსენებისა, სიღნაღის რაიაღმასკომიდან რედაქციას დღესაც არ მიუღია საბოლოო პასუხი.

მშრომელთა სიგნალებისა და შენიშვნებისათვის დუმილით გვერდის ავლა კრიტიკის ჩახშობის თავისებური ფორმაა, რაც არავის ეპატიება. იმ ამხანაგებს, რომლებიც დუმან, პასუხს არ აძლევენ პრესაში გამოქვეყნებულ, აგრეთვე გამოუქვეყნებელ წერილებზე, საჭიროა მოვაგონოთ, თუ როგორი გულისხმიერებით ეპყრობოდა პრესის სიგნალებს ვ. ი. ლენინი. 1921 წელს გაზეთ „იზვესტიაში“ დაიბეჭდა წერილი იმის შესახებ, რომ სადგურ ლიზინოში უპატრონოდ ცისქვეშ ყრია ძვირფასი ტვირთი. წერილმა ვ. ი. ლენინის ყურადღება მიიპყრო. „თუ ეს სწორია, — წერდა იგი, — დაუყოვნებლივ მიიღეთ ყველა საჭირო ღონისძიება ქონების აღსარიცხავად, შესანახავად და ა. შ. და დამნაშავეთა მისაცემად უსასტიკეს პასუხისგებაში.

წარმოადგინეთ დაწვრილებითი წერილობითი მოხსენება ამ უმსგავსოებაში დამნაშავე პირთა ვინაობისა და თანამდებობის აღნიშვნით და გაუგზავნეთ ცნობა შრომისა და თავდაცვის საბჭოს“.

ლენინურად მოვეკიდოთ მშრომელთა წინადადებებსა და შენიშვნებს, სწრაფად, საქმიანად გამოვეხმაუროთ მათ, ყოველნაირად დავუჭიროთ მხარი სახალხო ინიციატივას — ასეთია თვითეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელის მოვალეობა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

16 მაისს მოსკოვიდან გაემგზავრა ირანის მთავრობის სასაზღვრო საკითხთა დელეგაცია კორპუსის გენერალ სენატორ ა. ჯაჰანბანის მეთაურობით. დელეგაციასთან ერთად გაემგზავრნენ ირანელი ჟურნალისტები, რომელნიც საბჭოთა კავშირში სტუმრად იყვნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების მოწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგემ ა. პ. პავლოვმა, გენერალ-მაიორმა პ. ი. ზირიანოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილემ კ. ა. კოჩეტკოვმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სხვა თანამშრომლებმა, საბჭოთა კავშირის სასაზღვრო საკითხთა დელეგაციის წევრებმა.

დელეგაცია აგრეთვე გააცილეს ირანის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ა. მასუდ-ანსარიმ და საელჩოს თანამშრომლებმა.

თბილისამდე ირანის დელეგაციას ახლავს საბჭოთა კავშირის სასაზღვრო საკითხთა დელეგაციის თავმჯდომარე დესპანი პ. დ. ორლოვი. (საქდესი).

ᲩᲣᲕᲐᲨᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲕᲣᲠᲜᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲘᲡ
ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ **ᲡᲔᲠᲒᲘ ᲥᲡᲔᲜᲝᲤᲝᲜᲢᲘᲡ-ᲫᲔ ᲙᲝᲠᲝᲕᲙᲝᲕᲡ**
ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲓᲝᲛᲐᲜᲘᲜᲡ**
ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲠᲢᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲡ

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ დიდი კმაყოფილებით წავიკითხეთ „პრავდაში“ დაბეჭდილი თქვენი სოციალისტური ვალდებულებანი. თქვენ აღგვითქვამთ, რომ 1957 წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიიღებთ 100 ცენტნერ ხორცსა და 300 ცენტნერ რძეს. ეს ძალიან კარგი მაჩვენებლებია. თქვენი გამოცდილება მოწმობს, რომ ჩუვაშეთის ავტონომიურ სს რესპუბლიკასა და მის მეზობელ რესპუბლიკებსა და ოლქებში ხორცისა და რძის წარმოების გადიდების უდიდესი შესაძლებლობებია.

განსაკუთრებით სასიხარულოა აღინიშნოს, რომ თქვენი კოლმეურნეობის კოლმეურნეები კისრულობენ სიმინდის მოყვანის მეტად სერიოზულ ვალდებულებებს: მიიღონ 200 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 1.000 ცენტნერი სიმინდის მასა ტარიებთან ერთად.

თქვენი ინიციატივა ყოველგვარი მოწონების ღირსია. თქვენ ჩუვაშეთის პირობებში, სადაც წინათ არასოდეს არ მოჰყავდათ სიმინდი, ორ წელიწადში შესძელით განსაკუთრებით კარგად აგეთვისებინათ ეს კულტურა და მიგეღოთ 700-800 ცენტნერი მწვანე მასა ჰექტარზე.

თქვენს წამოწყებას ყურადღება უნდა მიაქციონ ყველა ჩვენი რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებმა, განსაკუთრებით იმ მუშაკებმა, რომლებიც ბევრს ლაპარაკობენ სიმინდზე, ბევრს აქებენ მას სიტყვით, მაგრამ ნაკლებად იღებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს იმისათვის, რომ აითვისონ ეს კულტურა და მიიღონ უხვი მოსავალი.

თქვენი მიღწევები სიმინდის წარმოებაში შეიძლება შეშურდეთ გამოცდილ მესიმინდეებს იმ ოლქებიდან, რომლებსაც დიდი ხანია მოჰყავთ სიმინდი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელითა და დავალებით მხურვალედ გილოცავთ და გისურვებთ ყოველგვარ წარმატებებს თვითეულ ჰექტარზე 1.000 ცენტნერი სიმინდის მასის წარმოების ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში. მხოლოდ სიმინდის უხვი მოსავლის მიღება გვაძლევს შესაძლებლობას გადავჭრათ საკვების პრობლემა, ეს კი ყველაზე მთავარი, ყველაზე ძირითადი, ყველაზე გადამწყვეტია იმისათვის, რომ მკვეთრად გაიზარდოს რძისა და ხორცის წარმოება 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე. სიმინდის ასეთი მოსავლის დროს 100 ცენტნერი ხორცისა და 400 ცენტნერი რძის მიღება ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე იქნება არა ზღვარი, არამედ მინიმალური ოდენობა.

შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის თქვენს შესანიშნავ მაგალითს მიბაძავს ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის საჭიროა გაჩაღდეს ნამდვილად საყოველთაო-სახალხო მოძრაობა. თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებიც პასუხს აგებენ სიმინდის მოყვანისათვის. სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, რიგითს კოლმეურნეებს, ჩვენს სახელოვან სოფლის ახალგაზრდობას თავიანთი ღვრსების საქმედ უნდა მიაჩნდეთ სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანა.

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ,
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔ-40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

★

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲔᲔᲑᲡ — ᲒᲐᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ

ქუთაისი. („კომ.“ კორ.). საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა, რომელმაც მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა, რესპუბლიკაში პირველ ადგილზე გამოვიდა. მასვე მიენიჭა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამას წინათ ტყავფეხსაცმლის კომბინატში გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა გარდამავალი დროშის მიღებას.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

ახალციხე. (საკ. კორ.). მეორე შახტის კოლექტივმა განვლილ თვეებში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22,5 პროცენტით გაადიდა ქვანახშირის ამოღება, საგრძნობლად აამაღლა შრომის ნაყოფიერება და შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. ამ მაჩვენებლებისათვის შახტის კოლექტივმა პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა.

ასევე წარმატებით განაგრძობენ ქვანახშირის ამოღებას მაისში. შახტში გადაწყვიტეს მიმდინარე წლის საწარმოო პროგრამა გაანაღდონ ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ფოთი, 16 მაისი. (საქდესი). ფოთის ნავსადგურის კოლექტივი, რომელიც ჩაბმულია დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, წარმატებით ასრულებს ტვირთბრუნვის გეგმას. პირველი კვარტალის მიჩვენებლებით ნავსადგურის კოლექტივმა შავი ზღვის გემთსამართველოს ხაზით დაიკავა პირველი ადგილი, ხოლო საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდა.

წარმატებით იმუშავეს მენავსადგურეებმა აპრილშიც. მათ თვის დავალება 111 პროცენტით გაანაღდეს და გემების ჩქარისნული დამუშავებით 564 საათის ეკონომია გასწიეს.

ნავსადგურის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ წლიური გეგმა 30 ოქტომბრისათვის შეასრულოს.

ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ

ახალ-ახალ საწარმოო გამარჯვებებს ალწევენ რესპუბლიკის დედაქალაქის საწარმოთა კოლექტივები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებული შეჯიბრების ყოველ დღეს. შეჯიბრების მოწინავეთა რიგებში არიან თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის ფეიერები.

კომბინატის კამოლური ნართის საწარმოს კოლექტივმა მაისის 16 დღის დავალება 113 პროცენტით გაანაღდა, ამასთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და აამაღლა შრომის ნაყოფიერება. მრთველებმა გადაწყვიტეს არ შეანელონ აღებული ტემპი, ვადაზე 4 დღით ადრე შეასრულონ მეორე კვარტალის საწარმოო დავალება და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მიცემენ 60.000 მანეთის მაღალხარისხოვანი ნართი.

უკანასკნელ ხანს წარმოებაში განხორციელებულ იქნა მნიშვნელოვანი ღონისძიება — მაქსიმუმამდე გაადიდეს სართავი მანქანების მუშაობის სიჩქარე. ამან მკვეთრად გაზარდა მუშათა შრომის ნაყოფიერება და დანადგართა წარმადობა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მრთველებისა და მეფთილეების ბრიგადები, რომლებსაც ვ. ქემაშვილი, გ. ტატანაშვილი, ი. საკაძე და მ. ულენტი ხელმძღვანელობენ.

• • •

სურათზე: კონტროლიორი ნ. ჭელიძე (მარჯვნივ) ამოწმებს მოწინავე მეფთილის ლ. კორტაშოვას ნამუშევარს.

ფოტო შ. გოჭაძისა.

ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ ᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივი წარმატებით დაეუფლა მინერალური სასუქთა წარმოების ტექნოლოგიას, უკვე მიაღწია საწარმოს სრული საპროექტო სიმძლავრით ამუშავებას და სამშობლოს ყოველთვიურად გეგმის გადამეტებით დიდძალ პროდუქციას აძლევს.

ამ საქმეში ღირსეული წვლილი მიუძღვით ქარხნის რაციონალიზატორებს, რომელთა რაოდენობა ამჟამად 250-ს აღემატება. მარტო შარშან ქარხანაში 260-მდე რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა, რის შედეგადაც დაზოგილ იქნა 786.400 მანეთი.

წარმოების ნოვატორებს ნაყოფიერ დახმარებას უწევენ მეცნიერი მუშაკები. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტის ვ. ჩაგუნავას, აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექტორის ნ. ჭიპაშვილის, გაზის წარმოების უფროსის მოადგილის ბ. კრუგლოვისა და გიგორდსაწმენდი საამქროს უფროსის ს. გაბრიჭიძის წინადადებით საბჭოთა კავშირის ქიმიურ საწარმოთა მუშაობის პრაქტიკაში პირველად ამ ქარხანაში განხორციელდა კოქსის გაზის გაწმენდა პიროქსიდული მადნის (მარგანეცის) საშუალებით. მანამდე გაზს წმენდდნენ სხვადასხვა შთანმთქმელების გამოყენებით, რაც შორიდან შემოჰქონდათ და 26-ჯერ ძვირი ჯდებოდა, ვიდრე მარგანეცი. ეს წინადადება, რომლის დანერგვას წელს შეუდგნენ, უკვე კარგ საწარმოო ეფექტს იძლევა და, სპეციალისტთა დასკვნით, ქარხანას ყოველწლიურად სულ ცოტა 2 მილიონი მანეთის ეკონომიას მისცემს.

ძვირფასი რაციონალიზატორული წინადადება განახორციელეს აგრეთვე წყალმომარაგების საამქროს უფროსმა გ. მილაშეჩკინმა და ამავე საამქროს მექანიკოსმა ე. დვანაძემ, რომლებმაც შეცვალეს ქარხნის წყალმომარაგების სქემა და ამით საწარმოს წელიწადში 225.600 მანეთი დაუზოგეს. რაციონალიზატორმა პ. ველიკანოვმა მოახდინა ნატრიუმის გვარჯილის კრისტალიზატორის რეკონსტრუქცია, რის შედეგად ნატრიუმის გვარჯილის საამქროს სიმძლავრე 10 პროცენტით გაიზარდა და დაზოგილ იქნა 65.200 მანეთი.

რამდენიმე ასეთივე მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადების ავტორები არიან აგრეთვე ამიაკის წარმოების ცვლის უფროსი მ. მინდიაშვილი, უფროსი მეაპარატე ნ. გოგოლაძე და ზეინკალი ნ. ფილეევი.

აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივი პირნათლად ანაღდებს საოქტომბროდ ნაკისრ ვალდებულებებს.

გ. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲛᲔᲒᲖᲘ ᲤᲔᲠᲝᲨᲔᲜᲐᲓᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲨᲕᲔᲑᲐᲓ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა აპრილში შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების და წარმოების კულტურის ამაღლების შედეგად საწარმოო დავალება 106,9 პროცენტით შეასრულა, გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, მნიშვნელოვნად აამაღლა შრომის ნაყოფიერება და შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. ფეროშენადნობთა ოსტატები აღმავლობით განაგრძობენ მუშაობას მაისშიც.

საოქტომბროდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში მოწინავეა მეორე სადნობი საამქროს (უფროსი შ. თედოზაშვილი) კოლექტივი, რომელმაც აპრილის დავალება 136,2 პროცენტით გაანაღდა.

კარგად მუშაობენ მისამე სადნობი, ელექტროდების, სატრანსპორტო, ენერგეტიკული საამქროებისა და აჯამეთის კარიერის კოლექტივები.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ — ᲛᲐᲡᲚᲔᲑᲡ

ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ

შარშან ველისციხის (გურჯაანის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ყურძნის უხვი მოსავლის მიღებით სახელი გაითქვა იმ ბრიგადამ, რომელსაც ა. მექვეტრიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 11,65 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 103 ცენტნერი ყურძენი მიიღო. განსაკუთრებით ხანაქებია ვ. ნესუაშვილის რგოლი, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 127 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ეს გეგმასთან შედარებით 52 ცენტნერით მეტია.

მეხუთე წელია, რაც ვ. ნესუაშვილი ამ რგოლს ხელმძღვანელობს. ამ ხნის განმავლობაში რგოლი ერთსა და იმავე ნაკვეთს უვლის. ამით მევენახეებს საშუალება მიეცათ ყოველმხრივ შეესწავლათ ცალკეული ვაზის ზრდის პირობები, მდგომარეობა და ამის საფუძველზე შეემუშავებინათ მისი მოვლის აგროტექნიკა.

მევენახეობაში მრავალი წლის მუშაობის გამოცდილებამ ნესუაშვილის რგოლის წევრები დაარწმუნა, რომ ყურძნის მაღალი მოსავლის მოსაყვანად საჭიროა დღენიადაგ ზვარში ტრიალი, ვაზთან ახლოს ყოფნა, თვალისჩინივით მოვლა.

რთველი როგორც კი დაამთავრეს, ვენახების დამუშავებას შეუდგნენ. ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისათვის თვითეულ ჰექტარზე 750 კილოგრამი სუპერფოსფატი და 400 კილოგრამი კალიუმის მარილი შეიტანეს. არც ორგანული სასუქი დაკლეს. ამის შემდეგ ვაზებს ძირები გამოუთხარეს და მწკრივთა შორის ღრმად მოხნეს. სარეველა მცენარეთა ფესვები შეაგროვეს, ვენახიდან გამოიტანეს და დაწვეს.

ვ. ᲜᲔᲡᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *

ვაზის ტამბზე ქერქის ქვეშ შემოდგომით მავნე მწერები იბუდებენ. გაზაფხულზე, როცა ვაზი ზრდას დაიწყებს, მწერები ტამბიდან მაღლა ადიან და ყლორტებს, ფოთლსა და ნაყოფს აზიანებენ. ამ მავნებლების საწინააღმდეგოდ ვაზებს ხმელი ქერქი შემოაცალეს, გარეთ გამოიტანეს და დაწვეს, შემდეგ კი ტამბს ნავთკირის ემულსია წაუსვეს.

ვაზის გახსვლას განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკვნენ. სხვლა აწარმოეს ადრე გაზაფხულზე მცენარის „გაღვიძებამდე“, ესე იგი წვნის მოძრაობის დაწყებამდე. ძლიერ ვაზებს 25-30 კვირტი დაუტოვეს, სუსტებს კი — 10-15; ვენახის შესარვისა და შპალერის გასწორების შემდეგ, კვირტის „გამოღვიძებამდე“ მოაწყეს ვაზის დაკვება.

ადრე გაზაფხულზე დამატებით გამოსაკვებად თვითეულ ჰექტარზე 600 კილოგრამი სულფატამონიუმი შეიტანეს და იგი ღრმად ჩახნეს. ამის შემდეგ დაყვავილებამდე კულტივაცია ერთხელ ჩაატარეს, ხოლო დაყვავილების შემდეგ — ორჯერ. ამით ნიადაგი სუფთა და ფხვიერ მდგომარეობაში ჰქონდათ.

გამოცდილმა მერგოლურმა ვაზის გაფურჩქვნა შერჩეულ მევენახეს მიანდო. ამ დროს თვითონაც ერთ წუთსაც არ სცილდებოდა სამუშაო ადგილს. ფურჩქვნის დროს ვაზის შტამბიდან და მისი ძირიდან უწესრიგოდ ამონაყარი სანაყოფე რქაზე უმოსავლო, სამამული რქის იღლიაში ამოსული ყლორტები მოაცილეს. ეს იმისათვის გაკეთეს, რომ ყურძენს მეტი ჰაერი და მზის სხივი მოხვედროდა და ამასთან ერთად გაადვილებოდათ სოკოვან დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლა. ასევე თანმიმდევრულად შეასრულეს ყველა სამუშაო. ამან უზრუნველყო ყურძნის უხვი მოსავლის მიღება.

— მთელი ჩვენი ხალხი, — განაცხადა საუბარში მერგოლურმა ვ. ნესუაშვილმა, გაცხოველებით ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის შესახვედრად. არც ჩვენ ჩამოვრჩებით მუშაობაში. წელს თვითეულ ჰექტარზე 150 ცენტნერ ყურძენს მოვიყვანთ.

ამ ვალდებულების შესასრულებლად დიდ მუშაობას ეწევიან. ვენახები მოხნული და შესარულია, ნიადაგი დამუშავებულია აგროტექნიკის ყველა მოთხოვნის მიხედვით. შეასრულეს პირველი შეწამლვა და სხვა სამუშაოები.

გამოცდილი მევენახე ვ. ნესუაშვილი ენერგიულად შრომობს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის.

ბ. ᲑᲐᲑᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

გამოხმაურება რსდმპ (ბ) აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებზე საქართველოში

რსდმპ (ბ) VII აპრილის კონფერენციით დამთავრდა ბოლშევიკური პარტიის ახალი ორიენტირების პერიოდი. პარტიის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ხანა — მასების რევოლუციური მობილიზაციის, ბოლშევიკების მიერ სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის შექმნის ხანა. ბოლშევიკურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გააჩაღა მშრომელი მასების პოლიტიკური აღზრდისა და დარაზმვისათვის.

საქართველოს ბოლშევიკებმა აპრილის კონფერენციის შემდეგ ფართო პროპაგანდისტული მუშაობა გაეაჩაღეს საქართველოს მშრომელი მასებისათვის კონფერენციის გადაწყვეტილებათა გასაცნობად. ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“ თანმიმდევრულად აქვეყნებდა კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციებს და მთელ რიგ სტატიებს, სადაც ბოლომდე იყო მხილებული ქართველი მენშევიკებისა და ესერების მცდარი ტაქტიკა, მათ მიერ სოციალისტური რევოლუციის საქმისადმი ღალატი და ნათლად იყო გაშუქებული მიმდინარე მომენტის ბოლშევიკური შეფასება. აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებმა და მის მიერ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისაკენ აღებულმა ხაზმა საქართველოს ბოლშევიკები საბოლოოდ დაარწმუნა, თუ რამდენად მავნე და საზიანო იყო სოციალისტური რევოლუციისათვის მენშევიკებთან შემარიგებლობის პოლიტიკა, რომელსაც რსდმპ თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობაში მოკალათებული ზოგიერთი პირები იცავდნენ. ბოლშევიკებმა დაუყოვნებლივ გაწყვიტეს მენშევიკებთან ფორმალურად არსებული ორგანიზაციული კავშირი და შექმნეს დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციები.

14 მაისს მოწვეულ იქნა თბილისის ბოლშევიკთა საერთო-საქალაქო პარტიული კრება, რომელზეც დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი კონფერენციის დელეგატების ფ. მახარაძისა და მ. ცხაკაიას მოხსენებები რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII კონფერენციის შედეგების შესახებ. კრების მონაწილეები განსაკუთრებული მოწონებით და ოვაციებით შეხვდნენ მ. ცხაკაიას გამოსვლას, რომელიც მან დაამთავრა სიტყვებით: „გაუმარჯოს რევოლუციის მეორე ეტაპს, გაუმარჯოს სოციალიზმს!“.

რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის ინიციატივაში მუშებისადმი მენშევიკებთან კავშირის გაწყვეტის შესახებ, რომელიც 1917 წლის 12 ივნისს გამოქვეყნდა ბოლშევიკურ გაზეთ „ბრძოლაში“, რომელიც ქართულ ენაზე გამოდიოდა, ვკითხულობთ:

„თბილისის ბოლშევიკების საზოგადო კრებამ განიხილა კონფერენციის რეზოლუციები და ერთხმად მიიღო ისინი სახელმძღვანელად მთელ თავის მოქმედებაში. აქედან წარმოსდგა საკითხი თბილისის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან დამოკიდებულების შესახებ.

ჩვენი პარტია, იმ მიზნით, რომ დაიცვას პროლეტარიატი მიხთვის უცხო გავლენისაგან, ვერაფერს ვერ დაუთმობს რევოლუციურ ობორონცობას და წყვეტს მასთან ყოველივე კავშირს.

ამის გამო კრებამ დაადგინა — გაწყვიტოს კავშირი მენშევიკური ორგანიზაციასთან, რომელიც იზიარებს რევოლუციური ობორონცობის შეხედულებას. გამოიწვიოს იქედან ყველა ჩვენი თანამოაზრე — ბოლშევიკი და შექმნას ცალკე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც დგას რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისზე...“

თბილისის კომიტეტის ამ გადაწყვეტილებას მენშევიკები და ესერები ველური გმძვინვარებით შეხვდნენ და ყოველგვარ საზიზღარ საშუალებას იყენებდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს ბოლშევიკებმა სერიოზული მუშაობა გააჩაღეს კავკასიის ფრონტის ჯარის ნაწილებში ჯარისკაცებისათვის აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა გასაცნობად. ბოლშევიკ პროპაგანდისტთა საუბრებს რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცები და მეთაურები დიდი ინტერესით უსმენდნენ, ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს კონფერენციის გადაწყვეტილებებს და გამოთქვამდნენ მტკიცე სოლიდარობას ბოლშევიკური პარტიისადმი მის ბრძოლაში ომის, ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის წინააღმდეგ და სოციალისტური რევოლუციის მომზადებისათვის. ამის შესახებ 261-ე ახულგოს პოლკის მე-8 ასეულის ჯარისკაცები „კავკაზსკი რაბოჩის“ რედაქციისათვის გაგზავნილ წერილში, რომელიც იმავე გაზეთის № 40-ში დაიბეჭდა, წერდნენ:

„წაიკითხეთ ჩვენთვის საყვარელ თქვენს გაზეთში რსდმპ სრულიად რუსეთის კონფერენციის რეზოლუცია, გაეცანით იგი და დაინახეთ, რომ არც ერთი სხვა პარტიის პროგრამა არ მიიღება, რადგან არც ერთი მათგანი არ მიგვითითებს იმაზე, თუ სახელდობრ ვის აწვება ომის თვითეული დღე და საათი, ვინ ზიანდება მისგან და ვინ დაზიანდება. ჩვენ გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ ვკითხულობთ და დავრწმუნდით, რომ ამ ომის მთელი სიმძიმე პროლეტარიატს აწვება...“

ამრიგად, აპრილის კონფერენციის შემდეგ საქართველოს ბოლშევიკებმა მშრომელ მასებსა და რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცებზე დაყრდნობით მტკიცედ აიღეს კურსი სოციალისტური რევოლუციისაკენ.

გამსვლელი სამეცნიერო სესია კოლმეურნეობაში

იმ მიზნით, რომ მეცნიერება და მისი მიღწევები დაუახლოვდეს წარმოებას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქარის ზონალური საცდელი სადგურის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში მოაწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია, რომელსაც ესწრებოდნენ მევენახეობის სპეციალისტები, ბრიგადირები, მერგოლურები, მოწინავე მევენახეები.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქარის ზონალური საცდელი სადგურის დირექტორმა ა. გიგინეიშვილმა. ყურძნის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებებზე მოხსენებით გამოვიდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გ. გაფრინდაშვილი, ვაზის სელექციის შესახებ — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. მირუტაძე, ვაზის მავნებელ-ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე საშუალებებზე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გ. დეკანოიძე და ღვინის ხარისხის გაუმჯობესების საშუალებებზე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. კინწურაშვილი.

კიცხელმა კოლმეურნეებმა მომხსენებლებს მისცეს ბევრი საინტერესო შეკითხვა, რომლებზეც ამომწურავი პასუხი მიიღეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. წერეთელმა სთხოვა მეცნიერ მუშაკებს, რომ ისინი უფრო ხშირად ესტუმრონ კოლმეურნეობებს და დაეხმარონ ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიც არის ნიადაგის ქიმიურ-ფიზიკური თვისებების განსაზღვრა, ნიადაგის დამუშავების ხერხები და მეთოდები, საცდელი ნაკვეთის მოწყობა კოლმეურნეობის ტერიტორიაზე და სხვ.

გამსვლელი სამეცნიერო სესიის გამო, რომელიც პირველად გაიმართა კიცხის კოლმეურნეობაში, კოლმეურნეებმა დიდი კმაყოფილება გამოთქვეს.

მოსწავლეები ეხმარებიან კოლმეურნეობებს

ამბროლაური. (საკ. კორ.). რამდენიმე წელია, რაც ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი შეფობას უწევს სოფელ კრიხის კოლმეურნეობას ვენახების დამუშავებაში, სილოსის დამზადებასა და მოსავლის აღებაში.

წელს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებმა კრიხის კოლმეურნეობას გაუსხლეს 7 ჰექტარი ვენახი, ხოლო გათოხნეს და სხვა საგაზაფხულო სამუშაოები ჩაატარეს 5 ჰექტარ ვენახის ფართობზე.

ამბროლაურის პირველი და მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ამბროლაურის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობას 4 ჰექტარი ვენახი გაუთოხნეს.

კოლმეურნეობებს დიდ დახმარებას უწევენ აგრეთვე რაიონის სხვა საშუალო და რვაწლიანი სკოლების მოსწავლეები.



მეტი უალკოჰოლო სასმელები

არა ერთხელ ჩვენ რეზონანსი, არამედ მის ფაბრიკას გამოცდილ-ფართოდ-ცნობილი და საერთო-მოწონებული ტყიბულის ქარხნის ფალოკოლა, გაუალკოჰოლო სასმელები. რესპუბლიკის უალკოჰოლო სასმელების საწარმოთა კოლექტივები ყოველწლიურად ათეულ მილიონობით ბოთლ მაღალხარისხოვან და მრავალფეროვან ხილის წყალს აწვდიან მშრომელებს.

დედაქალაქის მოსახლეობის უალკოჰოლო სასმელებით მომარაგების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თბილისის ხილის წყლის ქარხნის კოლექტივს. საწარმო ქალაქის სავაჭრო ქსელს ყოველდღიურად აწვდის 30 ათას ლიტრ ხილის წყალს. აქ ამზადებენ ცნობილ უალკოჰოლო სასმელებს — „კრემ-სოდას“, „ლიმონათს“, „სიტრონს“, „კრუშონს“ და სხვ. წელს პირველად ათვისებულ იქნა გამაგრილებელი სასმელის დამზადება ვაშლის სიროფიდან.

ქარხნის საამქროებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, რაც საწარმოს კოლექტივს საშუალებას აძლევს მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვოს გეგმების შესრულებაში. უალკოჰოლო სასმელების ოსტატებმა დიდი გადაჭარბებით — 126,3 პროცენტით გაანაღდეს სასაქონლო პროდუქციის გამშვების აპრილის დავალება და მშრომელებს გეგმის გადამეტებით მიაწოდეს ათასობით ბოთლი მაღალხარისხოვანი ხილის წყალი.

სურათზე: ავტომატური ჩამოსხმის საამქროს მოწინავე ჩამომსხმელი შ. ლობილაძე (წინა პლანზე) მუშაობის დროს.

ფოტო გ. კიკვიძისა.

(საქფესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა მშენებლობა

დეპუტატები მუშაობას შეუდგნენ

ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ტყიბულის მშრომელებმა აირჩიეს საქალაქო საბჭოს ახალი შემადგენლობა. ამ მოკლე პერიოდში დეპუტატებმა ბევრი რამ გააკეთეს ამომრჩევლთა დანაწესის შესასრულებლად.

ტყიბულში ფართოდ არის გაშლილი ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. უკანასკნელ წლებში აქ მრავალმა მეშახტემ და მშენებელმა აიგო საკუთარი სახლი, გაშენდა არაერთი საცხოვრებელი უბანი. რაც დრო გადის, ქალაქი მით უფრო ფართოვდება. ამჟამად აქ საკუთარ სახლს იშენებს 100-ზე მეტი მშრომელი. საქალაქო საბჭოს აღმასკომში ყოველდღიურად დიდძალი განცხადება შედის სამოსახლო ნაკვეთების გამოყოფის შესახებ.

მაგრამ აღმასკომი ყოველთვის როდი აკმაყოფილებს ინდივიდუალურ ბინათმშენებელთა ამ მოთხოვნებს. საქმე ის არის, რომ ქალაქ ტყიბულს მთაგორიანი მდებარეობა აქვს, რაც აძნელებს გზების გაყვანას, უგზობა კი ამცირებს, ზოგჯერ შეუძლებელსაც ხდის ინდივიდუალური სახლების მშენებლობას.

ამ საკითხს ყურადღება მიაქცია საქალაქო საბჭოს ახლად არჩეულმა დეპუტატმა ს. გვენეტაძემ. მან გულდასმით დაათვალიერა ქალაქის მიდამოები და დარწმუნდა, რომ ტყიბულქანახშირის ტრესტის ადმინისტრაციული შენობის ჩრდილოეთით, თვალწარმტაც ხეგში შეიძლება გაშენდეს საკმაოდ მოზრდილი ახალი უბანი.

დეპუტატმა ამ საქმეში სპეციალისტები დაიხმარა. მათი დასკვნით აღნიშნულ უბანში იოლად შეიძლება შარაგზის, ელექტროგადამცემი ხაზისა და წყალსადენის ქსელის გაყვანა.

დეპუტატ ს. გვენეტაძის საქმიან ინიციატივის მხარი დაუჭირა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა. ადგილზე გაგზავნენ გზის დამპროექტებლები, შეიქმნა ხარჯთაღრიცხვა. ამ დღეებში შაორავესის დირექციის სამმართველო და ქალაქის მცხოვრებლები შეუდგებიან გზის გაყვანას.

ახალ უბანში დასახლების სურვილი მრავალ მოწინავე ადამიანს აქვს. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა აღნიშნულ უბანში უკვე გამოუყო სამოსახლო ნაკვეთები შაორის ჰიდროელექტროსადგურის სატურბინო საამქროს მემანქანეს ა. ვერნიგორასა და ამავე საამქროს უფროს ოსტატს ა. გრიჩინს.

საქალაქო საბჭოს კომუნალური კომისიის წევრებმა დეპუტატებმა ჯ. გოცირიძემ, ო. თავართქილაძემ და კ. ბოჭორიშვილმა შეამჩნიეს, რომ ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციები, ფრეზერი ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა და შახტები მდინარე ტყიბულაში, რომელიც ქალაქს შუაზე ჩაუდის, ჰყრიდნენ სამშენებლო ნაგავსა და ფუჭ ქანებს. ეს აბუჭყიანებდა მდინარეს, გარდა ამისა თანდათანობით იშლამებოდა მდინარის კალაპოტი, რაც საფრთხეს უქმნიდა ქალაქს. დეპუტატებმა ეს საკითხი შეიტანეს, შეარჩიეს ის ადგილები, სადაც მოსახერხებელი იყო სამშენებლო ნაგავისა და ფუჭი ქანების დაყრა. 12 აპრილს ამ საკითხზე ამსჯელა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და მიიღო გადაწყვეტილება მდინარე ტყიბულას გაბინძურების აღკვეთის შესახებ.

ასეთი ღონისძიების განხორციელებამ კარგი შედეგი გამოიღო. გაუმჯობესდა ქალაქის სანიტარული მდგომარეობა, თავიდან იქნა აცილებული წყალდიდობის დროს კალაპოტიდან მდინარე ტყიბულას მოსალოდნელი გადმოსვლა.

ახლად არჩეული დეპუტატები ზრუნავენ ქალაქის ეზოების გასამწვანებლად, იმისათვის, რომ უფრო ლამაზი და წარმტაცი გახდეს საქართველოს მეშახტეთა ეს უძველესი ქალაქი. მიმდინარე წლის მარტის პლენუმი და აპრილის დასაწყისში ტყიბულში მრავალი მცენარე დაირგო. კარგი მუშაობით თავი გამოიჩინეს დეპუტატებმა ვ. კორძაძემ, მ. კიკვაძემ, ტ. ბაბრიეიძემ და სხვებმა. ახლა ისინი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ გაშენებული მცენარეების შესანარჩუნებლად.

ლენინის სახელობის შახტში ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყო ახალი სტადიონის მშენებლობა. ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორია ტყიბულის საქალაქო საბჭოს დეპუტატი სამთო ინჟინერი ბ. ჯალაღანია. სტადიონის მშენებლობაში დეპუტატი აქტივისტებსაც იყენებს. მაგალითად, აქტივისტებთან გ. ლოლაძესთან და გ. გორგიძესთან ერთად ბ. ჯალაღანიამ სტადიონის მშენებლობაზე გამოიყვანა ახალგაზრდობა. უკვე შესრულებულია მიწის დიდძალი სამუშაოები. მუყაითი მუშაობით თავი ისახელეს კომკავშირელებმა ე. ბოჭორიშვილმა, ვ. კალანდარიშვილმა, ნ. ბოჭორიშვილმა და სხვებმა.

მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება აგრეთვე ს. ცარაბოვის, დ. ბალდავაძის, ი. ფირანიშვილისა და ო. ვასაძის სადეპუტატო მუშაობიდან. ყველა მათგანი გულისხმიერად ეკიდება მასების შენიშვნებსა და მოთხოვნებს, პასუხისმგებლობით მუშაობს ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად.

ვ. ციბაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მუშსოფლკორები გვწერენ

ნედლეულის ხარჯვის პირადი ბარათები

ცოტა ხნის წინათ ჩვენს კომბინატში მოუგვარებელი იყო ნედლეულის აღრიცხვა, ადგილი ჰქონდა გაუპიროვნებას, თვითეულ დაზგაზე არ ხდებოდა დახარჯული ძაფის აღრიცხვა. ეს საგრძნობ ზარალს აყენებდა სახელმწიფოს.

ამჟამად განხორციელდა ღონისძიებები, რომლებმაც აიაღლა მქსოველისა და მხვეველის პასუხისმგებლობა და დაინტერესება. თუ წინათ სამასრე და საქსოვი კანტორები ცალცალკე იყო, ახლა ისინი გაერთიანებული არიან, თვითეულ ფეიქარს აქვს ნედლეულის ხარჯვის პირადი ბარათი, სადაც აღინიშნება, თუ რამდენი ძაფი დაზგაზე ან გადახარჯა. შრომის ასეთი ორგანიზაცია კარგ შედეგს იძლევა.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი არ კეთდება ნედლეულის მოჭიერნეობისათვის. მხოლოდ რამდენიმე დაზგაზეა მოწყობილობა, რომელიც ეხმარება მუშას მასრების მოხსნაში. სხვა ნანქანებზე მასრები ზოგი ტყდება და ზოგი ისვრება. მიღებულ ზონდა იქნას ზომები, რომ ყველა დაზგას გაუკეთდეს ასეთი მოწყობილობა.

ვერა გამზარდია,
ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ტექნიკური კონტროლიორი.

189 ათასი მანეთი დაგროვება

წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხი ფაბრიკის კოლექტივია ოთხი თვის საწარმოო დავალება 26 აპრილისათვის შეასრულა, გეგმის გადამეტებით 3 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია გამოუშვა და სახელმწიფოს 189 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მისცა. საწარმოო დავალებათა განაღდებაში თავი ისახელა ნ. რევიას ცვლამ. განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს ამ ცვლის იმ ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს მ. მიქაია, და საგრეხი საამქროს ბრიგადამ, რომელსაც სათავეში უდგას ა. ჭავჭანიძე.

დ. კოტიშაძე,
ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი.

პროდუქცია გეგმის გადამეგზებით

ვადაზე ხუთი დღით ადრე გაანაღდეს საწარმოო დავალებები ქობულეთის სამონტაჟო-მარებელო კოოპერაციის საწარმოებმა. აპრილში თვიური გეგმის გადამეტებით მათ 90 ათასამდე მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

დავალებათა შესრულებაში დაწინაურდნენ საკასრე და საკონდიტრო ნაწარმის საამქროთა კოლექტივები.

ტ. ბოგვაძე,
კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის მუშაკი.

მეშიფერეებს აზბესტი არ ჰყოფნით

კასპის ცემენტის ქარხნის შიფერის საამქროს წელს გადიდებული საწარმოო დავალება მიეცა. მან წლის ბოლომდე უნდა გამოუშვას 34 მილიონი ცალი სახურავი შიფერი, რომელზეც ბინათმშენებლები დიდ მოთხოვნილებას აყენებენ.

მაგრამ მეშიფერეებს ამ საქმეში დიდ დაბრკოლებას უქმნის ის, რომ ჯერაც ვერ მოწესრიგდა შიფერის დასაყალიბებლად საკმაო აზბესტის შემოზიდვა, რაც იწვევს მუშების გაცდენას, გეგმის შეუსრულებლობას.

ჯ. ხუნწარია,
შიფერის საამქროს უფროსი.

პარტიული ცხოვრება

თვალსაჩინო აგიტაციას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ მაიაკოვსკის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობაში. ლექტორები, მომხსენებლები, აგიტატორები მშრომელებს განუმარტავენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, რაზმავენ მათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის საბრძოლველად. ამჟამად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მიმართულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებისაკენ, მშრომელთა დასარაზმავად იმ ვალდებულებების წარმატებით შესასრულებლად, რომლებიც რაიონის მშრომელებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვის საპასუხოდ იკისრეს.

დიდი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული სოფელ საკრაულას კოლმეურნეობის ზვრებსა და მინდვრებში. საკრაულელმა კოლმეურნეებმა აგროტექნიკურ ვადებში შეასრულეს საგაზაფხულო სანუმაოები, სანიმუშოდ დაამუშავეს ვენახები, მოხნეს და დათესეს 270 ჰექტარი სიმინდი. საკოლმეურნეო შრომაში აქტიურად მონაწილობს ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე. შეჯიბრებაში ყველას გაუსწრო მთესველთა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი კ. კიკნაველიძე ხელმძღვანელობს. მოწინავე არიან აგრეთვე ა. კიკნაველიძის, პ. კვერეხაძის, გ. კიკნაველიძის ბრიგადები.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი გ. ბაქრაძე) ნაყოფიერ მუშაობას იწევს ადამიანებთან. ყველა ბრიგადასა და რგოლში სისტემატურად გამოდის საველე გაზეთები. ამას წინათ კოლმეურნე გ. ამირანაშვილი ორ დღეს არ გამოსულა სამუშაოდ. ეს მხედველობიდან როდი გამოეპარა აგიტატორ ნ. მაჭავარიანს. მან მეორე დღესვე უზრუნველყო საველე გაზეთის ახალი ნომრის გამოშვება, რომლის ერთ-ერთ წერილში გაკიცხული იყო გ. ამირანაშვილის საქციელი. კრიტიკამ შედეგი გამოიღო. გ. ამირანაშვილი ახლა ბეჯითად მუშაობს ინდივიდუალურ სახლების მშენებლობას.

კოლმეურნეობის კედლის გაზეთი „კოლმეურნის ხმა“ ნამდვილად წარმოადგენს პარტიული ორგანიზაციის მებრძოლ თანაშემწეს, იგი გაბედულად ააშკარავებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. გაზეთის მორიგ ნომერში კოლმეურნე მ. ჯოხაძე წერდა: შემჩნეულია, რომ ზოგიერთ ნაკვეთში ვენახი ავადდება სოკოთი. საჭიროა ამთავითვე მივიღოთ ზომები ამ დაავადების წინაღმდეგ, აღვაკვეთოთ მისი გავრცელების შესაძლებლობა. ავტორი აქვე მიუთითებდა იმ საშუალებებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. კედლის გაზეთის კრიტიკულ შენიშვნას დროულად გამოეხმაურნენ კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია. სინესტის თავიდან ასაცილებლად ზვრებში გაიყვანეს დრენაჟები, ვენახები შეწამლეს ქიმიური ნივთიერებებით. ასეთნაირ წინასწარმა ღონისძიებებმა ძირშივე აღკვეთა ვაზის სოკოთი დაავადების გავრცელების საშიშროება.

პარტიული ორგანიზაცია კედლის გაზეთს კარგად იყენებს მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის. მაგალითად, „კოლმეურნის ხმის“ გასული თვის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში, რომლის სათაურია „მივბაძოთ მოწინავეებს“, მოთხრობილია წარჩინებული მევენახეების ლ. ბასხარაშვილის და შ. კუპრაძის გამოცდილებაზე.

არტელის გამგეობის კანტორაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია კოლმეურნეობის მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ამსახველი დიაგრამა. კანტორის წინ, ეზოში დადგმულია ლამაზად გაფორმებული სტენდი, რომელზეც მოთავსებულია მოწინავე კოლმეურნეთა პორტრეტები სათანადო წარწერებით, აქვე ყოველდღიურად აკრავენ რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების ახალ ნომრებს.

მაგრამ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ყველა კოლმეურნეობაში როდი დგას სათანადო სიმაღლეზე. თვალსაჩინო აგიტაცია განსაკუთრებით სუსტია სოფელ ზეგნის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი ა. ზირაქაძე). კოლმეურნეობაში ვერსად ვერ ნახავთ ლოზუნგებს, პლაკატებს, მოუწყობელია საგაზეთო ვიტრინა, ყველა ბრიგადასა და რგოლში არ გამოდის საველე გაზეთები. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებითაც აიხსნება ის, რომ კოლმეურნეობას 10 მაისისათვის 230 ჰექტარის ნაცვლად მხოლოდ 150 ჰექტარი ჰქონდა მოხნული; უფრო მეტი ჩამორჩენაა თესვაში.

სოფელ წითელზეგის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის კანტორაში გამოკრული არ არის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრებისადმი მიძღვნილი ლოზუნგები. აგიტატორები დ. მანჯავიძე, პ. სირბილაძე ოშვიათად ესაუბრებიან კოლმეურნეებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე. აგიტკოლექტივის სამუშაო გეგმაში არასოდეს არ ითვალისწინებენ თვალსაჩინო აგიტაციის საკითხებს.

კოლმეურნეობაში ვენახს 84 ჰექტარი ფართობი უჭირავს. ვენახი ითოსავლელად განაწილებულია ცალკეულ ბრიგადებსა და რგოლებზე. მევენახეთა შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება ყურძნის ხუნი მოსავლის მოყვანისათვის, მაგრამ პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს შეჯიბრების საჯაროობას. ბრიგადებსა და რგოლებში მოწყობილი არ არის ფარები და დაფები, რომლებზეც ჩამოწერილი იქნება ამა თუ ინ ბრიგადისა თუ რგოლის მიერ აღებული სოციალისტური ვალდებულება, მოსავლელად მიჩენილი ნაკვეთის ოდენობა და სხვ.

პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს გასული წლის დეკემბერში განიხილა მოსახლეობაში თვალსაჩინო აგიტაციის დაყენების საკითხი. ბიუროს სხდომაზე გამოირკვა, რომ მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი უბნის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ. გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი. ამის შემდეგ ხუთმა თვემ განვლო, მაგრამ რაიკომის ბიუროს დადგენილების ზოგიერთი პუნქტი კვლავ შეუსრულებელია. ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში თვალსაჩინო აგიტაცია სათანადოდ არ არის გამოყენებული მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით ჩატარებისათვის ბრძოლაში. მაგალითად, სოფელ ობჩის ლენინის სახელობის (პარტბიუროს მდივანი დ. მაცაბერიძე) და ორჯონიკიძის სახელობის (პარტბიუროს მდივანი მ. დათუაშვილი) კოლმეურნეობებში რაიკომის ბიუროს დადგენილების შემდეგ პოლიტიკური მუშაობა მასებში, კერძოდ თვალსაჩინო აგიტაცია, ოდნავაც არ გაუმჯობესებულა. საზოგადოებრივ შესაკრებ ადგილებზე გამოკრული არ არის ლოზუნგები, პლაკატები, დღემდე არ მოუწყვიათ მოწინავეთა დაფა.

კინო თვალსაჩინო აგიტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. შეიძლება ითქვას, რომ კინოსურათების დემონსტრაციის მხრივ წინა წლებთან შედარებით ამჟამად რაიონში უკეთესი მდგომარეობაა. მთელ რიგ სოფლებში სისტემატურად აჩვენებენ მხატვრულ ფილმებს და პოპულარულ კინოსურათებს სასოფლო-სამეურნეო თემებზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სოფელს ჯერ კიდევ არ უწევენ კინომომსახურება. მაგალითად, სოფლებში ზეგანში, ხანში, ვარციხეში, ობჩაში თვეობით არ უჩვენებენ კინოფილმებს.

უნდა აღინიშნოს, რომ თვალსაჩინო აგიტაცია არც რაიონულ ცენტრში დგას ჯეროვან სინაღლეზე. რაიონის ცენტრში თვალსაჩინო ადგილებზე საგაზეთო ვიტრინებს ვერ ნახავთ. აქამდე არ არის მოწყობილი რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ამსახველი სტენდი. ვერც ერთ შენობაზე ვერ ნახავთ ლოზუნგს, რომელიც რაიონის მშრომელებს მოუწოდებდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვის პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისაკენ.

თვალსაჩინო აგიტაცია მასების დარაზმვის, მათი იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მნიშვნელოვანი ფორმაა. ნათელი, გასაგები, კონკრეტული და მიზანდასახული თვალსაჩინო აგიტაცია ნელს უწყობს მშრომელების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, მასების დარაზმვას მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად. პარტიის მაიაკოვსკის რაიკომმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დროზე უნდა გამოასწოროონ თვალსაჩინო აგიტაციის დაყენებაში არსებული ნაკლოვანებანი და ნამდვილად გადააქციონ იგი მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მძლავრ საშუალებად.

მ. ვარდოსანიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.



ჩვენის ბოლომდე გაკვასუქით

150.000 ლორი

მდინარე ხრამის ხეობაში

ამ ადგილას ათიოდე წლის წინათ ტრიალი მინდორი იყო. რამდენიმე ასეულ ჰექტარზე არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქი არ იდგა. არემარეს მარნეულის აღმართზე კომბინით მიმავალი ორთქლმავლის შეკივლება თუ გამოაღვიძებდა.

ახლაც დაჭრის მატარებელი ამ გზაზე. ახლაც ისმის ორთქლმავლის შეკივლება ხრამზე რკინის ხიდთან, როცა მცირე აღმართს შეუდგება... მაგრამ შეიცვალა გარემო. ძირეულად შეიცვალა ასეულ ჰექტარზე გადაჭიმული ტრიალი მინდორი, რკინიგზის გაყოლებით ადანიანებმა გაიშენეს კოპწია ეზოები ვენახებითა და ხეხილის ბაღებით, ეზოებში დადგეს ლამაზი ოდასახლები. მწვანით შეიმოსა წინანდელი ხრიოკი არემარე.

ახალ ეზოებში ახალი ცხოვრება დამკვიდრდა... ნოყიერ მიწაზე. ადამიანებმა დაჭრეს ბარი, ვრცელ ველებს შეუსივეს ტრაქტორები, კომბაინებმა ბზეზე აელვარეს პურის მარცვლები... გამრავლდა ცხვარი და მსხვილფეხა რქიანი საქონელი.

ომატა კოლმეურნეობის მიწის ბარაქამ...

რკინიგზის ლიანდაგიდან მდინარე ხრამის სანაპირომდე, სადაც ადრე მხოლოდ იალღებისაკენ მიმავალი ცხვრის თარა თუ გაივლიდა, სულ სამოიდე წლის წინათ მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ საფუძველი ჩაუყარა მეღორეობის ფერმას.

მანამდე ეს მეტად პროდუქტიული პირუტყვი ამ კუთხის იშვიათი ბინადარი იყო. ამიტომ. ბუნებრივია, მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებას კოლმეურნეები დიდი აღფრთოვანებით როდი შეხვდნენ. ამ ახალი საქმით არც იმ ბრიგადის წევრები იყვნენ აღტაცებული, რომელსაც მეღორეობის ფერმის მოვლა-პატრონობა დაეკვალა.

მოწინავე ადამიანები, რომლებიც მეღორეობას თაოსნობდნენ, განუმარტავდნენ კოლმეურნეებს თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეცხოველეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას კოლმეურნეობის ეკონომიკის აღმავლობისათვის, მით უმეტეს, რომ მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ამ საქმისათვის საუკეთესო ბუნებრივი პირობები ჰქონდა და შეეძლო ღორები უხვად მოემარაგებინა მაღალხარისხოვანი საკვებით.

ღორების პირველი სადგომი აშენდა თუ არა, კოლმეურნეობამ შეიძინა ოცამდე ჯიშიანი დედაღორი, რომლებმაც რამდენიმე თვეში ორასამდე მოიღლია. ფერმაში პირველად რომ მოვიდა, მაინცდამაინც დიდი ხალისით როდი შეუდგა ნუშამობას, მაგრამ საქმემ თანდათან იცის მიჩვევა. მით უმეტეს, თუ იგი ნაყოფიერია. ჩვენი მამედი ახლა ერთ-ერთი ნოწინავე მწყემსია. ნამატს უკლებლივ ინარჩუნებს. დედაღორებს კარგად უვლის, იცის — როდის, რამდენი და რა საკვები უნდა მისცეს მათ. გოჭებს, რომლებიც ფიზიკურად უფრო სუსტნი არიან, დედაღორის მკერდის ძუძუთი კვებავს. ამ გოჭებს სხვა საკვებსაც განსაკუთრებით ერჩევა, ეხმარება, რომ უფრო ძლიერებმა არ დაჩაგრონ ისინი.

გოჭები რომ კარგად გამოიკვებონ, მათთვის განკუთვნილი საკვები დედაღორმა რომ არ შეუჭამოს, ამისათვის მწყემს მამედს ღორების სადგომში ერთი განყოფილებიდან მეორეში სპეციალური საძრომები გაუკეთებია, სადაც მხოლოდ გოჭებს შეუძლიათ გასვლა. ამ განყოფილებაში ბლომათ არის საგულდაგულოდ შერჩეული საკვები და გოჭებიც ხალისიანად შეექცევიან მას.

ვათვალიერებთ ღორების პირველ სადგომს. ეს რამდენიმე ათეულ მეტრზე გაჭიმული შენობაა. მის ცალკე სადგომში 60 დედაღორი ბინადრობს. ზოგი მათგანი ცემენტის იატაკზე წამოუქცევიათ ჩასუქებულ გოჭებს და ყოველმხრიდან შემოსევიან.

სხვა განყოფილებაში ამ დედაღორების უფრო მოზრდილი შთაბეჭდილებაა მოთავსებული. მათგან 70 განსაკუთრებულ ოთახშია. მათ გამოულევლად აქვთ საკვები. ჭამენ რამდენიც სურთ და როდესაც სურთ. წყალიც იქვე აქვთ... ერთ თვეში თვითეული მათგანის ცოცხალი წონა 70 კილოგრამს მიაღწევს.

— დღეს ფერმაში 600-ზე მეტი ღორი გვყავს. ყველანი სანიმუშოდაა მოვლილი. ათიოდე თვის წინათ აქ ასეთ სურათს ვერ ნახავდით. მოგვითხრობს აგიტატორი ამბროსი დევაძე, — ღორები მოუვლელი იყო, გოჭები შიმშილისაგან დაუძლურებული. მაშინ ოთხთვიანი გოჭი შეგეძლო კუდით აგეწია და ჭყინვილსაც კი არ დაიწყებდა. აკი გვქონდა ასეთი შემთხვევაც, რამაც ერთგვარად ჩაგვახედა საქმეში და ხელი შეუწყო ჩვენი ფერმის შემდგომ აღმავლობას. აბა ახლა სცადეთ და კუდში ხელი მოჰკიდეთ ჩვენს გოჭებს... ამბობს ამბროსი და მიგვითითებს ღორებზე, რომლებიც საკვებურში ჩაყრილ ქატოსა და სხვა საკვებს ყურადღებასაც აღარ აქცევენ, ერთმანეთს ჩაჰკვრიან და წყნარად ღრუტუნებენ.

კიდევ ორ ახალ დიდ კაპიტალურ ბინას აშენებს კოლმეურნეობა მეღორეობის ფერმისათვის. აქვეა სასილოსე კოშკი... გაივლის რამდენიმე დღე და კოლმეურნეობის სამშენებლო ბრიგადა აუზის მშენებლობასაც მოათავებს. მაშინ საჭირო არ იქნება ღორების გარეკვა ხრამზე. სიცხისაგან შეწუხებული პირუტყვი აქვე ფერმის ეზოში იბანავებს.

ეს ახალი სადგომი საშუალებას მისცემს კოლმეურნეობას პირნათლად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება — გაზარდოს 1.000 ღორი, ისე რომ თვითეულის საშუალო ცოცხალი წონა სულ მცირე — 70-75 კილოგრამი იყოს. ფერმა გასასუქებლად ერთდროულად დააყენებს არა 70, არამედ 300 ღორს.

მაგრამ მარტო ახალი სადგომი რომ კმარა იმისათვის, რომ მეღორეობის ფერმამ მაღალ პროდუქტიულობას მიაღწიოს. ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ დათესა კოლმეურნეობამ წელს ორ ჰექტარზე მეტი მიწავამლა, 14 ჰექტარი იონჯა, სამი ჰექტარი გოგრა, ათი ჰექტარი ჭარხალი და 30 ჰექტარი სიმინდი.

მეღორეობის ფერმის გამგე ა. ბეჟანოვი შარშან ყუბანში იყო. იქ გულდასმით დაათვალიერა კურგანაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმა.

— კურგანელთა მოწინავე გამოცდილება, — ამბობს იგი, — დიდად გვეხმარება მეღორეობის განვითარების საქმეში. განსაკუთრებით დამაინტერესა იმ გარემოებამ, რომ კურგანელებს ფერმაში ჰყავთ მზარეული, რომელიც წინასწარ შედგენილი მენიუს მიხედვით სპეციალური მანქანების საშუალებით ამზადებს საკვებს 16 ათასი ღორისათვის. ერთ-ერთი ასეთი მანქანა გამოუგონია ფერმის მუშაკს ი. კაზაჩეკს. იგი უბრალოდ არის მოწყობილი — საკატლეტე ხორცის საკეპი მანქანის ყაიდაზე. ამ მანქანის დიდ ძაბრში ჰყრიან აწვანე მასას. ტრიალებს ბორბალი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს საჭრელი მოწყობილობა. ნასვრეტებიდან გამოდის გათხიერებული მწვანე მასა და უერთდება ქატოსა და სხვა საკვებ მასალას.

ღორები ასეთ საკვებს ხარბად ჭამენ, რაც დიდად ზრდის მათს პროდუქტიულობას.

ჩვენ კურგანელთა გამოცდილების მიხედვით გავმართეთ ავტოსაკვებურები, გავადიდეთ კვების რაციონი და საკვები მასალის ხარისხი, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

მეღორეობის ფერმის მწყემსები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მარნეულის რაიონის ვეტექიმი ნ. ხინჯიკაძე კარგად ეხმარება მათ. იგი დროზე იღებს პროფილაქტიკურ ზომებს ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ. ამიტომაც ფერმაში ამჟამად ღორების სიკვდილიანობის არც ერთი შემთხვევა არ არის.

ღორების მომვლელებთან საუბრის დროს მოგვისწრო ფერმაში საკვების მზიდავმა მ. მუსტაფაევმა. მას უკვე დაენაწილებინა საკვები და ფერმის გამგესთან ახალი დავალების მისაღებად მოვიდა.

როცა ფერმის მდგომარეობაზე გავესაუბრეთ, მან გაიღიმა, ავტოსაკვებურის ქატოთი სავსე ეჯრაში დიხეჩაყოფილ ვეებერთელა ღოს შეხედა და ასე გვიპასუხა:

— არა მარტო ჩვენ, რაიონში მეღორეობის ფერმის პირველად მომწყობ კოლეეურნეებს, არამედ სოფელ ყიზილაჯლოს ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებსაც, რომლებმაც ეს-ეს არის მოჰკიდეს ხელი მეღორეობას, ახლა ექვი არ ეპარებათ იმაში, რომ კარგი საქმე გააკეთეს...

მართლაც კარგი საქმე დაიწყეს მარნეულის რაიონის კოლმეურნეებმა, როცა მეცხვარეობასთან და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოშენებასთან ერთად მტკიცედ მოჰკიდეს ხელი მეღორეობას.

— მეღორეობის განვითარებამ, — ამბობს პარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნ. ჯიბლაძე, — რაიონში გარკვეული წვლილი შეიტანა ხორცის წარმოების გადიდების საქმეში.

წელს მარტო სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმის მიხედვით სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 28 ტონა ღორის ხორცი. მაგრამ კოლმეურნეებმა ამ გეგმაში სერიოზული შესწორება შეიტანეს: გადაწყვიტეს 1957 წელს სახელმწიფოს ჩააბარონ ერთნახევარჯერ უფრო მეტი ღორის ხორცი, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული.

ის დიდი მუშაობა, რომელსაც მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები მეღორეობის განვითარებისათვის იწევიან, იმის უტყუარი საწინდარია, რომ აღებული ვალდებულება არა თუ ნთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც იქნება შესრულებული.

ბ. თათარიშვილი,
ზ. ჯაფასკიშვილი,
ვ. შავგულიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.



სურათზე: ღორები ავტოსაკვებურებთან, წრეში — ფერმის გამგე ზოოტექნიკოსი ა. ბეჟანოვი.

* * *

სურათზე: ბრიგადირი ა. დევაძე ფერმაში გამოზრდილი ჯიშიანი გოჭებით.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

* * *

ზარდეული შემატეს ფერმას. ამას თითქოს ერთგვარი ინტერესი უნდა შეეტანა ბრიგადის მუშაობაში, მაგრამ პირველ ხანებში პირიქით მოხდა. ნაკლები ყურადღების გამო არათუ გოჭები, თვით დედაღორებიც, რომლებიც ფერმაში მოყვანის დროს საუკეთესო სანახავი იყვნენ, დაჩიავდნენ... მოაკლდათ საკვები, წყალი, მოვლა და ისე გახდნენ, რომ რძე არ ჰყოფნიდათ საკუთარი გოჭების გამოსაკვებად.

ამას, ცხადია, მოჰყვა როგორც დედაღორების, ისე გოჭების სიკვდილიანობა, და მეღორეობის ფერმის შემოსავალმა კოლმეურნეობის ეკონომიკაში უკანასკნელი ადგილი დაიკავა. ასე გაგრძელდა მეორე წელსაც...

— საკვების მომარაგებას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, იშვიათად იცავდნენ კვების რაციონს და, რაც მთავარია, არ აინტერესებდათ ამ მეტად პროდუქტიული ცხოველის მომრავლება, — გვესაუბრება ფერმის ახალი გამგე, ზოოტექნიკოსი არტავაზ ბეჟანოვი.

— ახლა კი... აი მწყემსი, — განაგრძობს საუბარს თერმის გამგე. — ავტოსაკვებურთან რომ ტრიალებს, სულ ერთი წელია რაც ჩვენთან მუშაობს. საბელად მამედი ჰქვია, გვარად მაგრამ ეს სპეციალური საქმიანობა ისეთ ადამიანს ეკადრებოდა, ვინც ამ საქმეს ბოლომდე ერკვევა. ეს ადამიანი ჩვენ ვიპოვეთ. ამ ბიჭს ბევრი ეცადა, ბევრი ეფიქრა, ბევრი ეკითხა ჩვენ. ბევრ ადგილას ეყოლა ნაცნობ-მეგობარი

ჯ. ე. ვოროშილოვი მედანში ჩავიდა

მედანი, 16 მაისი. (საკუთარი სპეც. კორ.). 11 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი და პრეზიდენტი სუკარნო ჩავიდნენ ჩრდილოეთ სუმატრის უდიდეს ქალაქ მედანში.

საბჭოთა სტუმარს აეროდრომზე შეხვდნენ ჩრდილოეთ სუმატრის გუბერნატორი პონტასი, პირველი სამხედრო ოლქის სარდალი პოდპოლკოვნიკი გინტინგი, ქალაქის მერი ჰაჯი მუდანინგრატი. კ. ე. ვოროშილოვის პატივსაცემად ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის სახელმწიფო ჰიმნები, რის შემდეგაც იგრიალა 21 საარტილერიო ზალვამ — ერთა სალუტმა.

მოკლე გზაზე გუბერნატორის რეზიდენციისაკენ სადაც კ. ე. ვოროშილოვი გაჩერდა, მას ათეულ ათასობით ადგილობრივი მცხოვრები მიესალმა.

ნერუს განცხადება სახალხო კალაჯაში

დელი, 16 მაისი. (საკუთარი). დღეს სახალხო პალატაში პრეზიდენტის სიტყვის გამო გამართული კამათის დროს გამოვიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ. მან პასუხი გასცა კრიტიკულ შენიშვნებზე, რომლებიც დეპუტატებმა გამოთქვეს კამათის დროს.

შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს, ნერუმ აღნიშნა, რომ მსოფლიოში გრძელდება გამალებული შეიარაღება. განსაკუთრებულ საფრთხეს, ხაზგასმით აღნიშნა ნერუმ, წარმოადგენს ატომგულის იარაღის დაგროვება და გამოცდა.

შეეხო რა დაძაბულ მდგომარეობას შუა აღმოსავლეთში, ნერუმ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა „ვაკუუმის“ აუბადებული თეორიის საშიშროება. კიდევაც რომ იყოს ასეთი „ვაკუუმი“, დასძინა ნერუმ, იგი თვითონ ამ ქვეყნების ხალხებმა უნდა ამოავსონ.

ანალიზი გაუკეთა რა ინდოეთის საშინაო მდგომარეობას, ნერუ დაეთანხმა მთელი რიგი დეპუტატების მიერ გამოთქმულ აზრს, რომ აგრარული რეფორმები ნელა ხორციელდება, და გამოთქვა მათი დაჩქარების იმედი. მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ინდოეთის სოფლის მეურნეობის კოოპერაციას და უარყო მტკიცებანი იმის შესახებ, რომ კოოპერაცია ინდოეთის პირობებისათვის შეუფერებელია.

მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის XII სესიამ

ჟენევა, 16 მაისი. (საკუთარი). აქ მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის XII სესიამ. სესიის უურადღების ცენტრში იყო საბჭოთა კავშირის წინადადებანი, რომელთა მიზანია სრულიად ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება, სახელდობრ წინადადებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამა წლის 16 მარტის განცხადებაში, და წინადადებანი, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა კომისიის XI სესიაზე 1956 წლის აპრილში. სესიამ ამ საკითხებზე მიიღო ვრცელი რეზოლუციები, რომელთა თანახმად საბჭოთა კავშირის წინადადებათა შესწავლა გაგრძელდება კომისიის კომიტეტებსა და სხვა მუშა ორგანოებში. კომისიის ეს ორგანოები გაითვალისწინებენ საბჭოთა წინადადებებს თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში.

სესიამ აგრეთვე განიხილა მოხსენებანი კომისიის კომიტეტების საქმიანობის შესახებ, განიხილა ევროპის 1956 წლის ეკონომიური მდგომარეობის მიმოხილვა, რომელიც მოამზადა კომისიის სამდივნომ, და მთელი რიგი სხვა საკითხები, აგრეთვე მიიღო მოხსენება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოსადმი.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებანი ფიზიკურ შრომაში ხელმძღვანელ მუშაკთა მონაწილეობის შესახებ

პეკინი, 16 მაისი. (საკუთარი). 1957 წლის 10 მაისს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა მითითებანი იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელმა მუშაკებმა მონაწილეობა მიიღონ ფიზიკურ შრომაში.

როგორც სინხუას საგენტო იუწყება, ამ მითითებებში აღნიშნულია, რომ მიმდინარე გაზაფხულიდან სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების ბევრი კადრის მუშაკი ზედიზედ ებმება მინდვრის სამუშაოებში. იგივე უნდა გააკეთონ ზოგიერთმა რაიონულმა და სამაზრო კადრის მუშაკებმა, პროვინციების, ქალაქებისა და ავტონომიური რაიონების ზოგიერთმა პასუხისმგებელმა ამხანაგებმა, აგრეთვე უმაღლესმა და საშუალო ოფიცრებმა. ამ მოვლენას, ნათქვამია ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის სოციალისტურ მშენებლობაში. მას შემდეგ, რაც კადრის მუშაკებმა მიიღეს მონაწილეობა წარმოებაში, ხელმძღვანელი მუშაობა სრულიადაც არ შესუსტებულა და, პირიქით, იმის მეოხებით, რომ ხელმძღვანელი მუშაკები მონაწილეობენ წარმოებაში, უერთდებიან მასებს, ხელსაყრელი პირობები იქმნება საკითხების დროულად და კონკრეტულად გამოვლინებისა და გადაჭრისათვის, ხელმძღვანელი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რაც საშუალებას იძლევა შედარებით ადვილად ავიცილოთ და დავძლიოთ ბევრი შეცდომა, რომლებიც დაკავშირებულია ბიუროკრატიზმთან, სექტანტობასა და სუბიექტივიზმთან, ხელსაყრელი პირობები იქმნება აგრეთვე იმისათვის, რომ საზოგადოებაში შეიცვალოს უგულებელმყოფელი შეხედულებანი ფიზიკურ შრომაზე.

ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, ნათქვამია შემდეგ ამ მითითებებში, რომ არა მარტო თემის, რაიონული და სამაზრო მასშტაბის კადრის მუშაკები, არამედ მთავარი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკებიც — ყველა, ვისაც შეუძლია ფიზიკური შრომა, ყოველწლიურად გარკვეულ დროს უნდა ახმარდეს ფიზიკურ შრომაში მონაწილეობას.

დაწესებულებათა და ცალკეულ პირთა კონკრეტული პირობების მიხედვით, აღნიშნა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ეს შეიძლება იყოს შეძლებისდაგვარი მონაწილეობა მინდვრის სამუშაოებში, სამრეწველო წარმოებაში, კომუნალურ მშენებლობაში და სხვ., რაიმე დამატებითი გასამრჯელოს მიუღებლად.

ამასთან ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას, რომ პარტიის ხელმძღვანელ მუშაკთა მონაწილეობამ ფიზიკურ შრომაში გავლენა არ მოახდინოს ყოველდღიურ ხელმძღვანელ მუშაობაზე შესაბამის დაწესებულებებში, რომ ხელმძღვანელები ფიზიკურ შრომას არ ეწეოდნენ ერთსა და იმავე დროს და ერთ ადგილას, რომ ამან არ შეაწუხოს ძირეული ორგანიზაციები, რომ ამან არ გაადიდოს სახელმწიფოს ფინანსური ხარჯები.

ფიზიკურ შრომაში დაწესებულებათა რიგითი კადრის მუშაკების, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის კადრის მუშაკებსა და მეგრძოლების, სასწავლებელთა მასწავლებლების, მოსამსახურეებისა და მოსწავლეების მონაწილეობა, აღნიშნავს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ჯერ უნდა განხორციელდეს ცდის წესით მუშაკთა ნაწილში, რათა გამოცდილების მიღების შემდეგ თანდათანობით ჩავაბათ მოსახლეობის ეს კატეგორიები ფიზიკურ შრომაში ყველგან ნებაყოფლობის საფუძველზე.

ფიზიკურ შრომაში სხვადასხვა საფეხურის ხელმძღვანელ კადრის მუშაკთა ნაწილობრივი მონაწილეობა, ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის მითითებებში, არის ერთ-ერთი მიზანი, რომელსაც უნდა მივაღწიოთ მუშაობის სტილის მოწესრიგებისათვის ახლანდელ მოძრაობაში.

პოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთში

პარიზი, 16 მაისი. (საკუთარი). გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთში საშინაო-პოლიტიკური მდგომარეობა გაძნელდა. როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანს ალეირში გაჭიანურებულ ომთან და სუეცის ავანტიურის შედეგებთან დაკავშირებით გაუარესდა საფრანგეთის ფინანსური მდგომარეობა. მკვეთრად შემცირდა ოქროსა და დოლარის მარაგი, პასივი საგარეო ვაჭრობაში სისტემატური მოვლენა გახდა, განვითარდა ინფლაცია. მეორე მხრივ, საფრანგეთში იზრდება უმაყოფილება გი მოლეს მთავრობის პოლიტიკით ალეირში, სადაც საფრანგეთის ნახევარმილიონანი არმია უკვე ორი წელიწადია აწარმოებს საომარ მოქმედებას ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ. გაზეთების ფურცლებზე სულ უფრო ხშირად იბეჭდება საზოგადო მოღვაწეთა პროტესტები ალეირში მასობრივი რეპრესიებისა და წამების წინააღმდეგ.

გი მოლეს მთავრობის პოლიტიკით მასების უკმაყოფილებასთან დაკავშირებთან, ზოგიერთი პოლიტიკური პარტია, რომლებიც ადრე მხარს უჭერდნენ მთავრობას, ახლა მერყეობს ან ილაშქრებს მთავრობის წინააღმდეგ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში. კერძოდ, ამას წინათ გაიმართა რადიკალთა და რადიკალ-სოციალისტთა პარტიის ყრილობა, რომელიც მხარი დაუჭირა იმას, რომ შეიცვალოს პოლიტიკა ალეირში, აღდგენილ იქნას საფრანგეთში სამოქალაქო თავისუფლებანი, შეწყდეს პრესის თავისუფლების ხელყოფა და სხვ. ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა არ დაეთანხმება რადიკალთა პარტიის მოთხოვნებს, პარტია მთავრობიდან გაიწვევს რადიკალ მინისტრებს და აღარ დაუჭერს მხარს მთავრობას.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, თვით სოციალისტურ პარტიაშიც უკანასკნელ ხანს თავი იჩინა უკმაყოფილებამ მთავრობის პოლიტიკით. მაგალითად, ამას წინათ გაიმართა სენის დეპარტამენტის (პარიზის რაიონი) სოციალისტური პარტიის ფედერაციის საბჭოს სხდომა, რომელმაც მთავრობის პოლიტიკა ალეირში მოიწონა მხოლოდ 3.600 მანდატით 2.700 მანდატის წინააღმდეგ. უთანხმობა გამოვლინდა პარტიის ეროვნული საბჭოს სესიაზეც.

გართულებული საშინაო-პოლიტიკური მდგომარეობის ამ პირობებში გი მოლემ გუშინ შეიტანა განცხადება კაბინეტის გადადგომის შესახებ (რომელიც მალე უკანეს წაიღო). კომენტარს უკეთებენ რა მთავრობის მეთაურის ამ მოქმედებას, პარიზის მთელი რიგი გაზეთები აღნიშნავენ, რომ გი მოლეს სურდა ამრიგად ზეგავლენა მოეხდინა ეროვნულ კრებაზე, „გამოიწვია რა მთავრობის კრიზისის აჩრდილი“. გაზეთი „ეკო“ წერს, რომ გადადგომის მუქარის მიზანია დარაზმოს მთავრობის უმრავლესობა, რომელიც მერყეობა დაიწყო, „ზეგადასახადების“ კანონპროექტის განხილვის წინ. გაზეთი „ფრან-ტირერი“ აღნიშნავს, რომ გი მოლეს „გადადგომისა“ და მის ეგვიპტის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მიზანია ჩამოაშოროს ყურადღება სერიოზულ საშინაო-პოლიტიკურ პრობლემებს და მათ შორის ახალი გადასახადების კანონპროექტს და რადიკალების პარტიასთან უთანხმოებას.

დემოკრატიული პრესა ამავე დროს აღნიშნავს, რომ გი მოლე ესწრაფვის უზრუნველყოს მხარდაჭერა მემარჯვენე პარტიებისა, რომლებსაც მოსწონთ მთავრობის მიერ განხორციელებული „ძალის პოლიტიკა“ ალეირში. „კვლავ რომ დარაზმოს რეაქციული უმრავლესობა, — წერს „ლუმანიტე“, — გი მოლემ დიდი თამაში დაიწყო, მაგრამ ეს საშიში თამაშია“.

მშვიდობის X ველორბოლაში გამარჯვებულთა დაჯილდოება

ვარშავა, 16 მაისი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს გაიმართა მშვიდობის X ველორბოლაში გამარჯვებულთა დაჯილდოება და ველორბოლის ოფიციალური დახურვა. შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის პირველი პრიზი — მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თასი მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა. პოლონელმა ველოსიპედისტებმა მეორე პრიზი მიიღეს. საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც მესამე ადგილი დაიკავეს გუნდურ პირველობაში, მესამე პრიზი მიიღეს. სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოებულია აგრეთვე მშვიდობის X ველორბოლის მონაწილე ყველა გუნდი.

შეჯიბრებაში პირადი პირველობისათვის პირველი პრიზი მიიღო ბულგარელმა სპორტსმენმა ხრისტოვმა, მეორე ადგილისათვის დაჯილდოებულია ინგლისელი ბრიტენი. საბჭოთა სპორტსმენმა კაპიტონოვმა, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა პირადი ჩათვლის 12 ეტაპში, მესამე პრიზი მიიღო.

გარდა ამისა, საბჭოთა ველოსიპედისტები დაჯილდოვეს საპრიზო ადგილებისათვის, რომლებიც მათ და მთლიანად საბჭოთა გუნდმა დაიკავეს ცალკეულ ეტაპებზე და საშუალედო ფინიშებზე, აგრეთვე ტრასის მთიან უბნებზე. საბჭოთა სპორტსმენებმა სულ 40-ზე მეტი პრიზი მიიღეს. შეჯიბრების ცალკეულ ეტაპებზე წარმატებითი გამოსვლისათვის დაჯილდოვეს აგრეთვე სხვა ქვეყნების სპორტსმენები.

გამარჯვებულთა დაჯილდოების შემდეგ გაიმართა მშვიდობის X ველორბოლის ოფიციალური დახურვის ცერემონია.

მგზომარეობა იორდანიაში

ბეირუთი, 16 მაისი. (საკუთარი). გაზეთი „აშ-შარკი“ იუწყება, რომ იორდანიის გაზეთები და რადიო კვლავ ეწევიან მტრულ კამპანიას ეგვიპტისა და სირიის წინააღმდეგ. როგორც სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, წერს გაზეთი, ეს კამპანია წარმიებს ამერიკის ამანის საელჩოს წაქეზებით, რომლის თანამშრომლებსაც მჭიდრო კონტაქტი აქვთ იორდანიის ახლანდელ მთავრობასთან. ამ კამპანიის მიზანია შეარყიოს ეგვიპტის, სირიისა და იორდანიის ხალხთა სოლიდარობა.

„აშ-შარკი“ აღნიშნავს, რომ იორდანიის მთავრობამ პოლიცია და ჟანდარმერია სამხედრო სარდლობას დაუქვემდებარა. ხელისუფლები მასობრივ დაპატიმრებას აწარმოებენ.

როგორც გაზეთი „ტელეგრაფი“ იუწყება, იორდანიიდან დამასკოს გაიქცა იორდანიის არმიის არტილერიის სარდალი ჰასან ჰელუათი და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა იქ.

იტალიაში მთავრობის კრიზისის გამო

რომი, 16 მაისი. (საკუთარი). იტალიის პრეზიდენტმა გრონკომ გუშინ მიიღო ქრისტიან დემოკრატთა პარტიის თავმჯდომარე ძოლი და დავალა მას შეადგინოს ახალი მთავრობა. სენიის გადამდგარ მთავრობაში ძოლის ბიუჯეტის მინისტრის პოსტი ეკუთა. პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ ძოლიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ იგი შეეცდება შეადგინოს მთავრობა მარტო ქრისტიან დემოკრატთა პარტიის წარმომადგენელთაგან.

იტალიის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ძოლის გაუძნელდება შეადგინოს ერთპარტიული მთავრობა, რადგან ამ მთავრობას უმრავლესობა არა ჰყავს პარლამენტში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ჯგუფმა უკვე გამოთქვა აზრი „ყოველგვარი ერთპარტიული მთავრობის შექმნის წინააღმდეგ“.

გადაწყვეტილება ერთპარტიული მთავრობის შექმნის შესახებ მოწმობს „ცენტრის“ პოლიტიკის ღრმა კრიზისს (ესე იგი იმ პოლიტიკისა, რომელსაც ახორციელებდა ქრისტიან-დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული, ლიბერალური და რესპუბლიკური პარტიების მთავრობის კოალიცია). ეს პოლიტიკა არ ითვალისწინებდა იტალიის მემარცხენე ძალების ინტერესებს.

ფოლადთუჯსაშსხმელო ქარხნის მუშა-სახლი ავჭალაში. მოსამსახურეთა ახალი საცხოვრებელი

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სპორტის ამბები

საერთაშორისო შეხვედრები ჩოგბურთში

საბჭოთა ჩოგბურთელებმა ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა ქალაქში გამართეს საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები. ამ შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა თბილისის ნორჩი ჩოგბურთელი რიაზანოვა, რომელსაც არცერთი შეხვედრა არ წაუგია. სსრ კავშირის ჩემპიონს ანდრეევს მოუგო ივორსკის ანგარიშით 6:2, 6:2, 6:3.

ქალთა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატი

16 მაისს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო საქართველოს ქალთა საჭადრაკო პირველობის გათამაშების უკანასკნელ ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება.

კაკაბაძისა და გაფრინდაშვილის პარტია გადადებული იყო დაახლოებით თანაბარ პოზიციურ მდგომარეობაში. მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ბელოზეროვა-ჩაიკოვსკაიას პარტია. გოგიავამ მოუგო ტოგონიძეს, ხაჭაპურიძემ — ბუცხრიკიძეს და სტატნიკოვას.

ამრიგად, დამთავრდა ქალთა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატის პირველი ნახევარი. გათამაშების ლიდერია ოსტატი გურფინკელი, რომელსაც 8 შესაძლებლიდან 7,5 ქულა აქვს. გაფრინდაშვილს შეგროვებული აქვს 6,5 ქულა, კაკაბაძეს — 6 ქულა, როროტარესა და ხაჭაპურიძეს ხუთნახევარ-ხუთნახევარი ქულა.

პიონერთა და მოსწავლეთა საქალაქო შეჯიბრება ქუჩაში მოძრაობის წესების ცოდნაში

ამ დღეებში თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში გაიმართა საქალაქო შეჯიბრება ქუჩაში მოძრაობის წესების ცოდნაში. ეს შეჯიბრება წარმოადგენს ფესტივალში შემავალ შეჯიბრებათა ერთ-ერთ სახეს.

პარკის ხეივანში მოწყობილი იყო პირობითი ქუჩა გზაჯვარედინებით, ღერძული ხაზებით, წრეებით, გადასასვლელებით. როგორც ნამდვილ ქუჩაზე, ჩამოკიდებული იყო შუქნიშანი, საგზაო სასიგნალო ნიშნები, გასხნილი იყო თეორიული ცოდნის შესამოწმებელი კაბინეტი. ეს ბავშვებს შეჯიბრებისათვის მოუწყეს ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს მუშაკებმა.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ქალაქის ყველა რაიონის საშუალო სკოლების 200-მდე პიონერმა და მოსწავლემ, რომლებიც რაიონების მიხედვით დაყოფილი იყვნენ რაზმებად. ტრასაზე პირველი გამოვიდნენ კიროვის რაიონის პიონერები, მათ მოჰყვნენ ლენინისა და სხვა რაიონების მოსწავლეები, ქუჩაში მოძრაობის რეგულირებასაც მოსწავლეები ახდენდნენ. შეჯიბრების მონაწილეები ავტომანქანებითა და ველოსიპედებით გადიოდნენ ტრასს ქუჩაში მოძრაობის ყველა წესების დაცვით.

შეჯიბრების შედეგებს ამოწმებდნენ მილიციის საქალაქო სამმართველოს მუშაკები — მსაჯთა კოლეგია 30 კაცის შემადგენლობით. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მთავარმა მსაჯმა მილიციის პოდპოლკოვნიკმა ვ. ნაროზაშვილმა მოსწავლეებს გააცნო შეჯიბრებაში გამარჯვებულნი.

პირველი გუნდური ადგილი დაიკავა ორჯონიკიძის რაიონის პიონერთა რაზმმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მხოლოდ 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები. მათ გადაეცათ გარდამავალი თასი, რომელიც სამ წელიწადს ეპყროთ 26 კომისრის რაიონის მოსწავლეებს, გარდამავალი ჯილდო — შუქნიშანი, აგრეთვე ფასიანი საჩუქრები, სამკერდე ნიშნები და სხვ. ამ მოსწავლეებმა 30 ქულა შემატეს საქალაქო ფესტივალზე ორჯონიკიძის რაიონს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ კალინინის რაიონის, ხოლო მესამეზე — 26 კომისრის რაიონის მოსწავლეები.

შეჯიბრებამ გამოავლინა პირად პირველობაში გამარჯვებული მოსწავლეები. პირველი ადგილი და ქალაქის ჩემპიონის სახელწოდება მოიპოვა 51-ე საშუალო სკოლის V კლასის ფრიადოსანმა მოსწავლემ ლიანა ოსეფიშვილმა, მეორე — 44-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ვალერი ბონდოცმა, ხოლო მესამე — 32-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ სვეტლანა მარტინიუკმა.

პარკში მოწყობილ გამოფენაზე ექსპონირებული იყო ქუჩების, შუქნიშნების, საგზაო სასიგნალო ნიშნების მაკეტები.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

ᲓᲦᲔᲡ

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ეზოში ავი ძაღლია, **მარჯანიშვილის სახელობის** — ნანა, **გრიბოედოვის სახელობის** — მარტოხელა, **მუსიკალური კომედიის** — ღალი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პრინცესა ტურანდოტი (აბონემენტი № 23, 3 ს.), სახიფათო მიჯნასთან (აბონემენტი № 40, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — განთა კუნძული (10 ს.), ოჯახი (6 ს.), **თოჯინების ქართული** — ბებია დარეჯანის ზღაპრები (11 ს., 4 ს.), **ფილარმონია** — საქართველოს ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი (ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით. საზაფხულო თეატრი, 9 ს.).

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების I, II, III და IV კურსის სტუდენტები, რომლებიც ქ. თბილისს გარეთ ცხოვრობენ, ვალდებული არიან გამოცხადდნენ საგამოცდო სესიებზე ა. წ. 25 მაისს ქ. თბილისში, ენგელსის ქ. № 44. გამოცდები იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც აკადემიური დავალიანება აქვთ, იწარმოებს 25 მაისიდან 5 ივნისამდე. საკურსო და საკონტროლო სამუშაოების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1 ივნისი. სტუდენტებს, რომლებსაც აღნიშნულ ვადებში არ ექნებათ წარმოდგენილ საკურსო და საკონტროლო სამუშაოები და დაფარული წინა კურსის აკადემიური დავალიანება, მიმდინარე საკურსო გამოცდებზე არ დაიშვებიან.

ტელეგადაცემათა პროგრამა

18 მაისისათვის

20.00 — სატელევიზიო ჟურნალი „ცოდნა“ № 1. 20.40 — ახალი მხატვრული ფილმი „ერთი ღამე“.

მოქალაქე **ივანე ონისიმეს-ძე ჟღენტმა**, მცხოვრებმა უნივერსიტეტის ქ. № 19/21, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ზინა გრიგოლის ასულ ჯიჯიეშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ანუშავან აირაპეტის-ძე პეტროსიანმა**, მცხოვრებმა სოხუმის ქ. № 3, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **გოგარიკ აპეტის ასულ კარაპეტიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლო.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი იუწყება

მატრონე გაბრიელის ასულ კუპრაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 19-V, 3 ს. გოგოლის ქ. № 52.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან

გიორგი კონსტანტინეს-ძე ჯაფარიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-V, 4 ს. სოფ. საგარეჯოში.

ბავშვთა მესამე საავადმყოფოს და მასთან გაერთიანებული ბავშვთა პოლიკლინიკების თანამშრომლები იუწყებიან

ვლადიმერ ბესარიონის-ძე გაჩეჩილაძის გარდაცვალებას.

მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის კოლექტივი იუწყება

ივანე ნიკოლოზის-ძე ღარიბაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 18-V, 4 ს. ახალციხის ქ. № 10.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სამგზავრო სადგურის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან

ლიდა პავლეს ასულ ყუფარაძე-მკერვალიშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 18-V, 5 ს. მესაზღვრის შესახვ. № 10.

მეუღლე თამარ, შვილები იურა, ეუფუნა, ძმები შალვა, მიხეილ, დები მარო, ოლია, თამარ, ნინო ოჯახებით იუწყებიან

ილია დიმიტრის-ძე ნუცუბიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-V, 8 ს. გამოსვენება 19-V, 3 ს. ბრძოლის ქ. № 6.

მეუღლე ალფეზ, შვილები როსტომ, აბესალომ, რძალი ბაბუცა შვილებით იუწყებიან

პარასკევა ელიზბარის ასულ ჩაჩავა-თოდუას გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-V, 5 ს. სოფ. პირველ მაისში (აბაშის რ.).

მშრომელთა დასასვენებელი ადგილები

კიროვის სახელოგის პარკში

თბილისის ღია პარკებს შორის კიროვის სახელობის პარკს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს. მისი ხშირი სტუმრები არიან ყველაზე პატარა დამსვენებლები — ნორჩები, რომლებიც საბავშვო ეტლებით მოჰყავთ, ახალი ფეხადგმულნი, ცელქი სკოლამდელი ასაკის გოგო-ბიჭები თავიანთი დედებითა და ბებიებით. პარკში სუფთა ჰაერითა და ლამაზი ყვავილნარებით ტკბებიან მოხუცი პენსიონერები, ხშირად დაინახავთ სტუდენტებსაც, რომლებიც აქ სასესიო საგნებს ამზადებენ დიდი ხეების ჩრდილში, და სხვ. ზამთარ-ზაფხულ ეს პარკი სავსეა ხალხით. არასრული აღრიცხვით ზაფხულში ხშირად აქ დღეში 20-25 ათასამდე ადამიანი შემოდის.

ეს პარკი ხალხმრავალია იმიტომ, რომ იგი ქალაქის თითქმის შუაგულშია მოთავსებული. აქ დასასვენებლად მოდიან არა მარტო ორჯონიკიძის რაიონის, არამედ აგრეთვე თბილისის სხვა რაიონების მცხოვრებნი. პარკს კარგი მდებარეობა აქვს — იგი მტკვარს გადაჰყურებს. ჯანსაღი ჰაერი, ლამაზი უვავილნარები, მრავალწლიანი დიდრონი ხეები, დიდი აუზი, ლამაზი ხეივნები, გაზონები, ბილიკები, ბუნებრივად ლამაზი ადგილები მას დამსვენებელთა საყვარელ ადგილად ხდის. აქ გაშენებულია 250-მდე სხვადასხვა ჯიშის მცენარეები, დეკორაციული ხე და ბუჩქი, მათ შორის ისეთი მცენარეებიც, როგორიც არის ფიქვი, კანადის ვერხვი, კავკასიური ცაცხვი, ჰიმალაის კედარი, კავკასიური აკაციისე, პირამიდული კვიპაროსი, ბუჩქები — როზმარინი, კავკასიური წყავი, იუკა, ლვია, კოლხური ბზები, სხვადასხვა ვარდები. წელს დაირგო ათას ძირზე მეტი ხე და ბუჩქი, ირგვება 200 ათასამდე ძირი ყვავილი.

პარკის ცენტრალურ ადგილას ლამაზ სკვერში დგას რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის, კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწის სერგეი მირონის-ძე კიროვის მონუმენტური ძეგლი. იქვე დაცულია ცნობილი ქართველი მწერლის დანიელ ჭონქაძისა და მისი მეუღლის საფლავები.

პარკის ტერიტორიაზე მოთავსებულია რაიონის გამწვანების კანტორის სასათბურე მეურნეობა ორანჟერიითა და სათბურებით, სადაც გამოჰყავთ უამრავი ყვავილი, საიდანაც მარტო წელს ორჯონიკიძის რაიონის ქუჩებსა და ბაღებში გადაირგო ნახევარ მილიონამდე ყვავილი. საინტერესოა ეგრეთწოდებული „მწვანე სახლი“, სადაც სპეციალურად დადგმულია საბავშვო სავარძლები, მოწყობილია აუზი წყლის ცხოველებით, სათამაშო კუთხეში დაყრილია სილა და სხვ.

რამდენიმე წლის წინათ აქ აშენდა საზაფხულო კინოთეატრის ლამაზი შენობა, სადაც ყოველთვის უჩვენებენ ახალ კინოსურათებს, არის სასპორტო დარბაზი, ფრენბურთისა და კალათბურთის სათამაშო მოედნები, სადაც სპორტსმენები გადიან წრთვნას და ატარებენ შეჯიბრებებს.

სამწუხაროა, რომ მშრომელთა დასვენების ასეთი კარგი, ხელმისაწვდომი ადგილის კეთილმოწყობას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სათანადო ორგანიზაციები. პარკის მთელ ტერიტორიაზე — 6 ჰექტარზე — არის ერთადერთი პავილიონი, რომელშიც იყიდება გამაგრილებელი უალკოჰოლო სასმელები, თუმცა აქ ლუდსაც ჰყიდიან ხოლმე. რაც დაუშვებელია. აქ ხშირად ისეთი პირები შემოდიან, რომლებიც პარკში წესრიგს არღვევენ, ამას კი არავითარი ყურადღება არ ექცევა. შეიძლება ეს იმიტომ ხდება, რომ პარკს არა ჰყავს ისეთი ხელმძღვანელობა, რომელიც იზრუნებდა მისი კეთილმოწყობისა და წესრიგისათვის. წესრიგის დამრღვევნი კი საშუალებას არ აძლევენ მშრომელებს მშვიდად დასვენონ, აფუჭებენ ყვავილნარებს, ნარგავებს და სხვ.

ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ნავარაუდევი იყო აქ მწვანე თეატრი აეგოთ, მაგრამ დღემდე ეს საქმე კიდევ არ არის მოგვარებული. საკმაო რაოდენობით არ არის სკამები, განსაკუთრებით პარკის განაპირა ადგილებში, სასმელი წყლის სვეტები.

მართალია, პარკი რადიოფიცირებულია, მაგრამ დამსვენებლებისათვის ამის მეტი არავითარი კულტმასობრივი ღონისძიება არ ხორციელდება. რატომ არ შეიძლებოდა აქ ჩამოყალიბებულიყო რამდენიმე სასპორტო წრე, რომლებშიც ივარჯიშებდნენ არა პროფესიონალი სპორტსმენები, არამედ სპორტის მოყვარული ადამიანები — ახალგაზრდა დიასახლისები, მუშა-მოსამსახურეები. კარგი იქნებოდა, რომ აქ მოეწყოს სხვადასხვა ატრაქციონები, განსაკუთრებით ბავშვთა გასართობები — ხაჭანელა, კარუსელი და სხვ., რადგან ბავშვებს სათამაშო სილის გარდა სხვა არავითარი გასართობი არა აქვთ.

პარკში არ არის გადახურული ნაგებობა, რომელშიც ცუდ ამინდში შესაძლებელი იქნება თავი შეიფაროს დამსვენებელმა. მოწყობილი არ არის სამკითხველო დარბაზი, მოსერნეთათვის არ იღებენ ჟურნალ-გაზეთებს, არ არის გამოყოფილი კუთხე შაშისა და ჭადრაკისათვის.

თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომმა, რომლის დაქვემდებარებაშიც შედ